კვირა 7 მარტი

ფასი 10 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მათრახი

№ 10

— სალამური

ყოველ-კვირეული იუმორ. ჟურნალი.

## ქუთათური უთაობა და კენჭებით ბურთაობა.



განა არ გიკვირთ
როგორ მოხდა ეს,
რომ ქუთათურ ბანკს თავი მოაძვრეს?...
მაღლითგან იყო
ის ნაბოძები,

სულ გაძვალტყავდა, ხორცი არ ახლავს...
გულს სევდა უღრღნის
და მწუხარება...
მამულიც სადღაც მიეპარება!
„ახალ" თავს ეძებს,

## ორი გზით ერთი კურდღელი.

I

— გაზეტ, გაზეეტ, გაზეეეტ! გაჰკიოდა ქუთაისის ტალახიან ქუჩებში პატარა მეგაზეთე.

— ბიჩო! ეი ბიჩო! მოდი, მოდი აქ! მიაძახა ბავშვს ფრიად ახოვანმა ,,სუბიექტმა" პოლიციური აქცენტით ბავშმა მიირბინა.

— რომელი გნებავთ ბატონო.

— მოიტა „რუსკოე ზნამიუ"... იცი?...

— არ გახლავთ ბატონო...

— მაშ „ნოვოე ვურემია" მოიტა...

— ჩვენ არა ვყიდით ბატონო..

— როგორ? რისტვის არა კიდი შენ? მაშ მოიტა...

— აი „რეჩი" ინებეთ, კარგი გაზეთია...

— მოიტა... ვიკიდი, რაც იქნება იქნება!

ახოვანმა სუბიექტმა „რეჩი"ს 48 ნომერი მოკეცა და ჯიბეში ჩაიდვა. ცხადათ ემჩნეოდა რომ ახოვან სუბიექტს გაზეთის ბევრი არაფერი გაეგებოდა, მაგრამ დღეს რაღაც განსაკუთრებულ გუნებაზე იყო.

II

— დუ... დუ... დუ...ა. გე...ნ...ერ... ა. ლა...

სპიჩკის ღერით მარჯვენა ხელში, სტოლთან მიმჯდარი კითხულიაბდა „რეჩი -ს პატარა ფელეტონს ჩვენი ნაცნობი ახოვანი სუბიექტი. ეტყობოდა რომ დიდს სატანჯველს შეადგენდა მისთვის ეს ხელობა, მაგრამ ნაცნობმა გვარებმა გაიტაცეს მათი ყურადღება და რაც უნდა მოსვლოდა გადასწყვიტა მისი ჩათავება.

— ოდე... სცკი... დე .. პუტ...ად... ბრო.. ც... კი...

დიდის წამებით ჩაათავა ახოვანმა სუბიექტმა აღნიშნული ფელეტონი „ო. ლ. დორ- ისა ,,ღვა გენერალა"და სხვათა შორის გაიგო, რომ გენერალ ტოლმაჩოვს დიდება თავისი სახელისათვის დეპუტატ ბროდსკის გაშავებით მოუპოვებია.

ახოვანი სუბიექტის თავში უცებ იელვა საუცხოვო აზრმა!

— ღმერთო ჩემო, ეს რა მშვენიერი გაზეთი ყოფილა! უნებლიეთ აღმოხდა გულიდან ახოვან სუბიექტს. და მართლაც, გაზეთი ხომ მასწავლებელია მკითხველისათვის, მასწავლებელი კეთილი და აი ახოვანმა სუბიექტმაც უცებ შეისწავლა საშვალება, თუ როგორ შეუძლია უნიჭო და მოუმზადებელ ადმინისტრატორს ერთი საფეხურით აიცვალოს წარჩინების კიბეზე.

— მაშ ევრე! წარმატებისათვის საჭირო ყოფილა რომელიმე დეპუტატის გაძევება. ჰმ! აი რას ნიშნავს ნიჭი და მომზადება! ეს ხომ სრულიად უბრალო რამეა და მაინც ტოლმაჩევის გენიოსობა იყო საჭირო, რომ ჩემთვის და მრავალ ჩემგვართათვის ეგზომ ცხადი გამხდარიყო ..

ახოვანი სუბიექტი ჩაფიქრდა, რამდენათაც ეს მოსახერხებელია უსწავლელი ადმინისტრატორისათვის.

— აგერ რამდენი ხანია ვმსახურებ და თუ არ პროტექციით, წარჩინებულთა შეწუხებით, ერთ გოჯსაც წინ ვერ წავიწევდი! აცხონოს ღმერთმა ნეტარ-ხსენებული ალიხანოვი! ვიდრე ისა მყავდა, ჩემი ვარსკლავი ასე თუ ისე კიდევა ბრწყინავდა, მაგრამ მისი ვერაგული მკვლელობის შემდეგ, იმანაც უხეიროთ იწყო ბჟუტვა და ლამის ჩაქრეს კიდევაც. საკუთარის ნიჭითა და მოხერხებით ჯერ ერთი თფილი სიტყვაც არ დამიმსახურებია უფროსთაგან. საკუთარ ჭკუას სულ უკან-უკან მივყევარ; რაჭაში სამსახურის დროს კინაღამ სრულიად დამღუპა და მოდი ახლა სხვისი დარიგებით ნუ ვიხელმძღვანელებ!!

III

ქუთაისის თავად-აზნაურთა კრება ერთს დაუსრულებელ ლანძღვა გინების ღადადისში იყო. „კეთილშობილთა" წინამძღოლნი აღარ ზოგავდენ არავითარ ,,კეთილშობილურ" საშვალებას, რომ ერთმანეთისთვის თავზე ლაფის შადრევანი გადაესხათ. ყველა ღირსეულათ გრძნობდა თავს ამ კრებაში, თავი მოსწონდა კეთილშობილური მჭევრმეტყველებით და ზრდილობით. არა თუ შინაურებს მოსწონდათ თავი, პირიქით, გამოჩნდა ვინმე უცხო, უცხო ქვეყნის „კეთილშობილი", რომელმაც მოისურვა ქართველ ვარსკლავთა შორის ჩარიცხვა.

მაგრამ ჩვენნი წარჩინებულნი ,,კეთილშობილნი" ჩინებულათ გრძნობენ თავიანთ მიუწდომელ ,,კეთილშობილურ წარჩინებას" და არც ეგრე ადვილათ გაიბედნიერებენ ვისმე მათ შორის ჩარიცხვით.

მართლაც, განა ხუმრობაა იმერული აზნაურობა?! განა ისე უბრალო საქმეა აზნაურ ჭაკუნტელაძეთ იწოდებოდე?! ჰაი, ჰაი, რომ ეს დიდი რამეა და აი ამიტომაც ცივი ვარი სტკიცეს უცხოელ ,,კეთილშობილს", გაქართველ-კეთილშობილების" სურვილით უზომოთ გატაცებულს.

და აი, უცებ წამოიჭრა ვინმე ახოვანი სუბიექტი, მრისხანეთ შეიკრა ნაოჭი ვიწრო შუბლისა თვისისა და დასჭექა.

— წარჩინებულნო ქართველნო კეთილშობილნო თავადნო და აზნაურნო! ნუ თუ თქვენი კეთილ გონიერება იმ ზომ დაჩლუნგდა, რომ უბრალო საქმეთა მიმდინარეობას ველარ აძლევს ანგარიშს? ნეუჟელი თქვენ უარს ეტყვით ჩვენს მოძმე რუსს კეთილშობილს, სულითა და გულით აზნაურს, გამსჭვალულს თავად-აზნაურული მიდრეკილებით და ამავე დროს არ გამორიცხავთ ჩვენი წოდებისაგან ისეთ მავნე პირს, როგორიც არის დეპუტატი ევგენი გეგეჩკორი, რომელმაც დუმის ტრიბუნიდან განაცხადა: ,,დიახ, სამწუხაროდ აზნაური ვარო." ნუ თუ თქვენი კეთილი გონიერება საჭიროთ სცნობს ასეთ უბრალო შემთხვევაში ფიქრსა და ჭოჭმანს?. მიკვირს, ძლიერ მიკვირს და უფრო ძლიერ ვსწუხვარ შესახებ ამ გარემოების...

ახოვანმა სუბიექტმა, რომელიც ლეჩხუმელი ფეოდალი ჯანსუყ დადეშქელიანი აღმოჩნდა, ოფლი მოიწმინდა, სახე გაბრწყინებულ კრებას გადახედა და განაგრძო:

— მე ვთხოულობ, რომ დეპუტატი ევგენი გეგეჩკორი გამორიცხულ იქნას თავად აზნაურთა წოდებისაგან და მის ნაცვლად ჩაირიცხოს ჩვენი მოძმე რუსი აზნაური.

კრება აჩოჩქოლდა და ახმაურდა.

*IV.*

— ორი გზით ერთი კურდღელი! აჰ, როგორ მოგწონს? ელაპარაკებოდა თავის თავს ჯანსუყ დადეშქელიანი იმ დიდებული კრების შემდეგ.

— ის კი გამიგონია, რომ ერთი გზით კაცი ორ კურდღელს მისდევდეს, მაგრამ ორი გზით, რომ ერთ კურდღელს იჭერდეს, ეს პირველი მოგონებაა და ისიც ჩემი, ძველი ჩინოვნიკის, მოგონება. ჯერ მარტო ის რათა ღირს ჩემი წარმატებისათვის, რომ რუს აზნაურს გამოვექომაგე და მეორეთ მთავრობის მოწინააღმდეგე დეპუტატი გავაძევე! აი რას ნიშნავს ორი გზით ერთი კურდღლის დაჭერა. თუ ველირსე გუბერნატორობას სწორეთ ახლა და თუ აქაც ბედმა მიმტყუვნა, მშვიდობით მაშინ მოსვენებავ...

ამ ღამით თავადს თითქმის არა სძინებია ისე იტაცებდენ ერთი მეორეზე უფრო წარმტაცი ფიქრები.

**ეშმაკი.**

---

# სხვათაშორის

**Торжествующая свинья.**

(იგავისებური)

გოგიამ ბაღი აკეთა
ბაღი კარგი და ქებული,
სხვა და სხვა ნორჩი ხეხილით
ქონდა ის გაშენებული.
მოქარგა ყვავილებითაც,
ჩარგო იქ ია, ვარდები,
იასამანი, ნარგიზი...
რჩეულ-რჩეული, კარგები.
გამოზაფხულდა. ამწვანდა,
გადაიფურჩქნა ბუნება,
სულს და გულს შვებით ავსებდა
გოგიას ბაღის ყურება...
მაგრამ მურტალმა ღრუნტულამ,
საბინძურეში გდებულმა,
ჩამოუარა გვერდით ბაღს,
მრავალგზის ლაფით ცხებულმა
და განიზრახა: როს ყველას
მოედებოდა თვალს რული,
ჩაპარულიყო ბაღში და
გაეძღო გული ღორული...
ასეც ქნა: თავის სალორეს
ტოვებდა ყოველ ღამითა
წურწკლ მოდებული დრუნჩზედა
ნელის ნაბიჯით, ზლაზვნითა
თვალწარმტაც: კეკლუც ბაღშია
ქურდულად ჩაიპაროდა,
ღვლემდა ხეხილის ძირებსა,
სჭამდა და გულით ხარობდა...
რაკი გულს მოიჯერებდა
და კარგათ გამოძღებოდა,
გასწევდა სალორისაკენ
და ძილათ მიეგდებოდა..
შეწუხდა ჩვენი გოგია,
მტერს ეძებს გაბრაზებული,
თვალყურს ადევნებს თავის ბაღს,
უზომოდ გაჯავრებული
და აჰა, ერთხელ ბაღნარში
ფინიას მოჰკრა მან თვალი
და თქვა: „ეს არის, სწორედ ეს!“
და .... ჩამოახრჩო საწყალი!..
რას იფიქრებდა ფინია—
მას დასწამებდენ მტერობას..
ღორი კი კვალად განაგრძობს
მის ღორულ გაიძვერობას...

**კენტი.**

---

# დეპეშები

(„ანათემას“ სააგენტო.)

**ქუთაისი.** კენჭაობის სეზონი იწყება. რიონის პირად თითქმის მოსპეს კენჭებიცა და თევზებიც.

**იქიდანვე.** ბაზარში ზუთხისა, ლოქოსა და ბეჭის ფასმა საშინლათ აიწია. დიდი ფასი დაედო აგრეთვე ჩხავერს და ყიფიანისას, კახურს მაგრე რიგათ არა სწყალობენ ჩვენი კუთხის“ პატრიოტები.

**იქიდანვე.** ქუთაისის თავად-აზნაურთა კრება აპირებს დაადგინოს: რომ ქართველი გლეხკაცობა არ დავალიანდეს და აზნაურთაგან დამოკიდებული არ შეიქნეს, თავისი მემამულეები „მთავარ-ანგელოზ მიხეილის“ კავშირს მიჰყიდოს. ეს დადგენილება თავად აზნაურთა დეპუტატის ანდრია ერისთავის პირით ეცნობება ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ჭირისუფალს ვლადიმერ პურიშკევიჩს.

**იქიდანვე.** სანოვაგის სიძვირესთან შედარებით ძლიერ გაიეფდა ჩვენში სწავლა აღზრდის საქმე. ამას ხელი შეუწყო ცნობილმა პედაგოგმა კონსტანტინე (იგივე კოწია) მკურნალმა. როგორც მოგეხსენებათ მან დააარსა ქ. ქუთაისში „საყოველთაო გიმნაზია“. აქ შესვლა ყველას შეუძლია ვისაც სურს და იმ კლასში რომელშიაც სურს. ასწავლიან საგნებს ესპერანტოს ენაზე და იღებენ ყოველივე ამისათვის და მრავალი ამგვარებისათვის სულ რაღაცა სამოცდა-ათ ქანქარს.

**იქიდანვე** (შემთხვევით) როგორც ამბობენ, სვანეთის ფეოდალს, ჯ. დადეშკელიანს დეპუტატ-გეგეჩკორის გამორიცხვის განზრახვისათვის მალე სტრაჟნიკთა ურიადნიკობას მისცემენ, ან არა და ქუთაისში უბნის ზედამხედველათ დანიშნავენო.*)

---

*) აქედან ცხადათ სჩანს, თუ რამდენათ არა საიმედოა ზოგიერთი შემთხვევითი ცნობა დეპეშათა სააგენტოსა. ჩვენ ვიცით, რომ ცნობილი ფეოდალი აგერ რამდენი ხანია ვიციე გუბერნატორი ბრძანდება და მაშასადამე თუ ასწიეს...

ეშმაკი.




ერთი პატ რა კუნძული,
,,კრიტოსათ'' სახელ-დებული,
ხმელეთის ჩამონაგლეჯი
შორს ზღვაში გადაგდებული,
ღამის ძილს უფრთხობს ევროპას,
აგერ რამდენი ხანია...

ზოგი ,,მფარველობს'', ზოგი გლეჯს,
ვერცერთს ვერ გაუტანია.
ოთხი ხომალდი დარაჯობს
ჯავშნებით შემოსილები...
თავს ,,მფარველებათ'' სახავენ
ეგ დალოცვილიშვილები.

# ლორი და ულელი.

—

გამოიწყო ერთმა გლეხმა
გაზაფხულზე ერთი ბაღჩა
და ჩააკლა შიგ ძალ-ღონე,
ხვნა თესვაზე რაც გადარჩა.
ისე კარგათ მოაშენა
სოფლის ბაღჩის პირობაზე,
რომ მთელ უბანს ეყოფოდა
ბოსტნეულის ძვირობაზე.
ქინძი, პრასა, ნიახური
და სხვა და სხვა ძირ-თავდიდი
აქ იმდენი მოიყვანა,
რომ გოდრებით ვერ ასცლიდი.
დაიამა გლეხმა გული,
დასტკბა, დარდი გადიყარა,
(ხუმრობაა კარგი ბაღჩა?
ერთ ძროხათ ღირს სხვათ თუ არა)
მეზობლებსაც მეზობლობდა
ამ ბაღჩიდან იგი ამ დროს,
უგზავნიდა მოსაკითხად:
ზოგს კიტრს, ზოგს ნესვს, ზოგს საზამთროს,
მარა თქვენს მტერს იმისთანა.
გლეხ კაცს გული გადუბრუნდა,—
შეეჩვეია ბაღჩას ლორი...
(წუწკი ლორი, რა თქმა უნდა).
გადათხარა რაც იქ ნახა
ძირიანი და უძირო.
(ლორი ლორულს არ მოიშლის
რომ ულოცო და უწირო.)
სცადა გლეხმა ძალი ღონე
მოეშორა ის წყეული,—
მოამაგრა ძველი ღობე,
ალაგ ალაგ მონგრეული;
საძრომები გამოლობა,
ჩაუკვეხა შიგან სარი!
არ დაზოგა ამის შემდეგ,
არც სხვა ღონე და სალსარი·
დაასია ლორს ძაღლები,
ათრია ის და აყვირა,
ასჯერ კეტით გამოუდგა,
მისი მოკვლაც დააპირა.
ერთხელ ყურიც დაათიბა,
დანით ცხვირიც დაუსერა,
მარა წუწკი ლორის ჯიში
ვერა გზით ვერ მოიგერა.
დანაბოლოს, გულმოსულმა
სტაცა ქლიკში, გლეხმა, ხელი;
დაიჭირა და მოარგო
იმერული ყელთ ულელი.
შეხტა ლორი, შეტრიალდა,
იწყო ხტუნვა უსაშველო,
იუცხოვა ქიჩინჩერზე,
მან შემბული ის საყელო,
ადგა, დაწვა, წაეთრია,
აკვატუნა სიმწრით თავი
უკანალის ნახახუნი
გადილლიტა კუდზე ტყავი.
ზურგი ისე გადიფხეკა,
იფიქრებდი სქირსო მუნი.
(რა თქმა უნდა, უმოწყალოდ
ხმელ მიწაზე ნახახუნი).
მგზავრმა კითხა გლეხ კაცს: ლორი
ცოფდებაო, თუ რააო?
გლეხმა უთხრა: ,,არა, ულლის
უჩვევია, ურააო!!''
ჯერ ეს იყოს... შემდეგისთვის
ჰქვას ისწავლის, კაგიაო,
ის ულელიც მისი კისრის
შესაფერი ბარგიაო.
მარა ჯავრობს, დახე ერთი,
ულელს ძალათ არ ირგებსო,
და სანამ არ მოადგება
ასე იხვანცარიკებსო!''
არ გასულა დიდი ხანი
დაიმშვიდა ლორმა გული...
(ხშირათ, ადრე დაწყნარდება
კაციც იმედ დაკარგული!)
ადგა დინჯათ, წამოზიდა
მისი ბარგი ის ულელი
და მინდორზე წარაკუნდა
(შეაჩვია ულელს ყელი...)!!!
ამგვარ სურათს ჩვენშიც ნახავს
ვინაც კარგათ დააყურებს:
ზოგიერთი ვაჟბატონის,
თუ შეეხე ნამსახურებს
და დაარქვი მას სახელი
რაც შეფერის,—დაცქვეტს ყურებს,
ასტეხს ყვირილს, მორთავს ყაყანს,
მითქმა მოთქმას გაახურებს,
და სანამ არ მოერგება,
სწორი თქმული ამგვარ ურებს,
მანამდის იხვანცარიკებს,
იმ ლორივით იფხუკურებს.

**ბლიკვაძე.**

---

# ეშმაკის კალენდარი.

**მარტი.**

არა ერთგზის თქმულა ჩვენში და მეც ვიტყვი, რომ მარტი მეტის-მეტათ ახირებული თვეა, მეტის-მეტათ დაუდეგარი და ცვალებადი. დღეში ასჯერ მოირთვებ მოიკაზმება კახელი პატარძალივით, ასჯერვე მოიღუშ-მოიღრუბლება. კარამდი ვერ ენდობი მის პატიოსნებას, როგორც რწმენას ქართველი უპარტიო ინტელიგენტისას: დღეს ქურქს

მოგახურავს უზომო სიცივე მისი გამკრავი ქარისა, ხვალ პერანგის ამარა გამოგიყვანს მწველი მზის სხივები მარტის დღისა.

**მსოფლიო სივრცე**. მტკიცე და ჩქარის ნაბიჯით გვიახლოვდება კუდიანი ვარსკვლავი გალლეისა. მისი მოახლოვება უზომო შიშს გამოიწვევს დედამიწის კუდიანთა და უკუდო ერსთა შორის. ამ იშვიათი, მაგრამ აუცილებელი სტუმრის მოვლინება, კუდს გამოაბამს მრავალგვარ უმნიშვნელო ამბებს კაცთა შორის.

**საერთაშორისო დამოკიდებულება**. სამწუხაროდ, მარტი მხოლოდ ჩვენშია ეგზომ ცვალებადი. დედა-მიწის სხვა და სხვა კუთხეებში იმას კვალად სხვა და სხვა გვარი სახე აქვს, რაიცა არსებითად იმავ ცვალებადობას გამოხატავს. ბალკანეთში ისევ ბჟუტავს პატარა ნაპერწკალი, საფრთხე ევროპის ,,მშვიდობიანობისა''. იმატებს არშიყობა სლოვიანთა შორის, მიუხედავათ მათი ნათესაობისა, რამეთუ პოლიტიკამ არ იცის ნათესაობა. გაზაფხულის მოახლოების გამო მთელს ევროპასა და აზია-ამერიკაში გულმოდგინებით ფერავენ და ლესავენ იარაღებს... რასაკვირველია არა სამეურნეოს.

**რუსეთში.** ჯერ კიდევ ვერ გამოარკვევენ, არის თუ არა შემოღებული კონსტიტუცია. გუჩკოვი დაჯდება ზღვის ნაპირათ და თანახმად რუსული ანდაზისა „Жди у моря погоды“ უცდის, უცდის რეფორმებს.

**ჩვენში.** მარტი ჩვენი თვეა! თუ სადმე კი მოსალოდნელია მის მოვლინებას ცვალებადობა მოჰყვეს, ეს უწინარეს ყოვლისა ჩვენში, საქართველოში. ქუთაისის ,,ზუბრები'' პირველნი იგრძნობენ გაზაფხულის მზის სიმწვავეს და ერთად შეიყრებიან, როგორც ეს ამერიკელ ბიზონებსა სჩვევიათ საბალახოს სიცოტავეს ჯერ ვერ იგრძნობენ და ამიტომ ,,კეთილშობილურათ'' სხვებსაც სთავაზობენ ,,იალაღებს''. ერთი მათგანი (,,დიდირქებიანი'') მოისურვებს ,,ზუბროთა'' წოდების განწმენდას საფუძვლიანათ, რომ მათ შორის არა რქოსანნი არ ბოგინობდენ.

**ქართული მწერლობა**. ყველაზე უფრო საგრძნობელი მარტის მოვლინება ქართულ მწერლობისათვის იქნება და მათ შორის იუმორისტული ნაწილისათვის. გაზაფხულის მოახლოება ერთობ აღაფრთოვანებს უახლეს (,,სათოსტო'', მგოსანთა ოცნებას და მით წარმოშობს მრავალთ უმრავლესს განძს პოეზიისას. ,,მათრახის'' რედაქცია მე 11 ნომრისათვის მიიღებს:

1) „გაზაფხულდა!!“ ლექსი—ცვარისა (3 სვეტი)
2) «ენძელა», ლექსი სხიესა.—(2 სვეტი)
3) „ის შეხვდეთ“, ლექსი პროზათ ი. ყვ: ვ-ლ სა (6 სვ.
5) «ოპოლი სხივი» ლექსი ს. გაზაფხულელისა (9 სვ.
6) „ტყე იმოსება» ლექ. იასონ კვირტისა (4 სვეტი)
7) «მზეო ამოდი!« ლექ. თომასი (13 სვეტი)
8) «ბუნების გაღვიძვა» ლექსი შიოსი (7 სვეტი)
9) «სუდარა დნება!» ლექსი პროზათ—ხოხობისა (24 სვეტი)

კიდევ სხვა და სხვა წვრილმანებს, რაიცა ერთად შეადგენს 47 სვეტს, ამგვარათ მეთერთმეტე ნომრისათვის რედაქციას ექნება სულ 123 სვეტის მასალა. მიუხედავათ იმისა, რომ გაზეთ ,,მათრახს'' სჭირია თითო ნომერზე მხოლოდ თორმეტი სვეტი მასალა, ის მაინც დაუწყებს ძებნას ახალ ნაწარმოებებს.

ამავე გაზაფხულის გავლენით და შეიძლება სხვა გავლენათა გამოც, ჩვენმა ეროვნულმა მგოსანმა ა. შანშიაშვილმა დასწეროს ახალი პიესა (თუ პოემა) ,,ფრთოსანთა შორის''. შეიძლება არც დასწეროს.

პატივცემული დროებისელი ერემია ,,ბ ნი სიტყვა'' ოცდა მეათეჯერ გამოიტირებს ჩვენს უბედობას.

ჟურნალისტთა საზოგადოება ორი ხმის უმეტესობით ერთის წინააღმდეგ დაადგენს: არჩეულ იქმნას სამსჯავრო, რომელიც უკანასკნელ მსჯავრს დასდებს ,,პრესის სინდიკატს''.

ჟურნალისტთა საზოგადოების მიერ არჩეული სამსჯავრო ამოირჩევს კომისიას, რომელმაც უნდა განიხილოს ,,პრესის სინდიკატის'' საქმეთა საბუთები.

ჟურიალისტთა საზოგადოების მიერ არჩეული სამსჯავროს მიერ არჩეული კომისია აირჩევს ცალკე ქვე კომისიას, რომელსაც მიანდობს უკანასკნელი მსჯავრის გამოთქმას ,,პრესის სინდიკატის'' შესახებ.

ჟურნალისტთა საზოგადოების მიერ არჩეულ სამსჯავროს მიერ არჩეულ კომიის მიერ არჩეული ქვე კომისია გადასწყვეტს მოიწვიოს საგანგებო კრება ჟურნალისტთა საზოგადოებისა, რათა არჩეულ იქნას კომისია რომელიც გაეკრვევა ,,პრესის სინდიკატის'' შესახებ მოგროვილ მასალებში.

პირველი კრება ჟურნალისტთა საზოგადოებისა აღარ შესდგება.

მეორე კრებას დაესწრება სამი წევრი, რომელნიც ამოირჩევენ კომისიას და ორი ხმის უმეტესობით ერთის წინააღმდეგ დაადგნენ არჩეულ იქმნას ახალი სამსჯავრო, რომელიც განიხილავს ,პრესის სინდიკატის'' საქმეს. და ასე დაუსრულებლივ.

ეშმაკი.

## მ ო გ ო ნ ე ბ ა.

მშობელი დედის ჰირიმე,
მისი ნათელი სახისა,
წაუშლელ, წმინდა ხატებათ
ჩემს გულში ჩანასახისა!..
მისი ნანინა თანა მდევს:
დამძახის, მიტკბობს სმენასა,
გულს ეფინება ნუგეშათ
და მიორკეცებს რწმენასა!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწარე წარსული თუ მაინც
ტკბილია მოსაგონათა,
აქ დედის ხსოვნა ხიდათ მაქვს
და საიმედო ფონათა!..

—

...უბირი ქოხი!.. შიგკერა!..
კერაში ცეცხლი ელავდა...
სისაწყლეს მოეკალათნა,
ირგვლივ წყვდიადი ღელავდა...
ქოხის ჭერს მჭვარტლი გაჰკროდა
დაბლა მიწაზე ციოდა...
კედლებში ზამთრის გრიგალი
ქვითინით შემოდიოდა .
კერასთან დედა, საბრალო,
თვის სისაწყლეზე ჩიოდა...
ძუძუს მაწვებიდა... მაჭმევდა ..
თითონ კი... თითონ შიოდა. .

—

ზამთარი იყო. მამაჩემს
ოჯახზე ხელი აელო:
წინაპართ უკუნ ბინისკენ
,,მოკითხვის წიგნი წაელო!..‘‘
რა დაუტოვე ქვრივ-ობოლს?
რა დაუწინდე კერასა?!
—,,არარას‘‘ მქონდა არარა,
სხვასაც ვუტოვებ ვერასა!..
ქვრივ-ობლის მდგომარეობა
გამოჰყურებდა შავათა. .
ირგვლივ კი ზამთრის გრიგალი
ღმუოდა გულსაკლავათა...

—

მეზობელს სთხოვა ურემი:
დასჭრა, დაუდო შეშები. .
სუნთქვით დაითბო თითები,
სიცივით განაშეშები.
სუსტი, შრომისა უჩვევი,
თან მოჰქანცოდენ ძალზედა:
უხორცო ტყავი მარტოკა
შემოფიჩხული ძვალზედა.
უჭმელი... მოუხედავი...
თავს კიდე არა სჩიოდა,
შინ ბალღი ვცგულებოდი,
გული ამაზე სტკიოდა!..
მოვიდა შეშა მოზიდა...
გუზგუზებს კერა, ტკრციალებს...
ქარი კი .. სქდება ბრაზისაგან..
ქოხს ირგვლივ შემოსტრიალებს.

—

გაზაფხულს ასე გავედით..
სიმინდი შემოგველია...
ტყემ ლურჯი კაბა გაშალა
და აბიბინდა ველია
მუშები შრომას შეუდგენ:
დაწკიპეს სახნის-კავები!
მეჯლიშსა ჰმართავს ბუნება,
ათას ფრად ანაყვავები! .
ორი დღის მიწა ჩვენც გვქონდა...
ვინ წავიდოდა მხვნელათა!..
სათესლე ერთი მარცვალიც
არ იყო ჩვენდა ხელათა.
ისევ მეზობელს მიჰმართა:
,,შენი ცოლშვილის ლხენასა‘‘
ოღონდ ხარ-კაცი მათხოვე,
გაჩვენებ ოფლის დენასა!..
წავიდა: მოხნა... მოთესა...
და ასე... წლიდან წლობითა
იწევდა სარჩოს, თავისავ
ოფლში და ცრემლში წრთობითა
უსწორო ბრძოლით, წვალებით
სწერდა ცხოვრების რვეულსა:
სცლიდა სამსალით ფიალას,
ბედისგან შეჩოძლეულსა...

—

სალამოს, როცა ბინდ-ბუნდი
მიწაზე დაეშვებოდა,
დღიურ შრომისგან მოღლილი
კერასთან ჩამოჯდებოდა
მიწვენდა მუხლზე და თანაც
მიმღერდა ხმა-ტკბილ ნანასა
და იმ ნანაში მიხსნიდა
ცხოვრების გამოცანასა;
თან მიკითხავდა თვის რვეულს,
ცრემლით და ოფლით დანაწერს,
და წინ მიშლიდა თავის გულს,
მშობლიურ გრძნობით ანაძგერს...
ის ხმები შერჩენ ხსოვნასა!
ის ხმები ეხლაც მესმიან!..
ცხოვრების ამოცანათა
დღესაც მირკვევენ... მიხსნიან...

**ნ. ზომლეთელი.**

---

## დეპეშები.

(«ვოლდემარის» სააგენტო)

**ფოთი.** ადგილობრივ ექიმთა კონსილიუმმა ბ. ნ ქარხალს ვერაფერი სანუგეშო უთხრა. აღმოჩნდა, რომ მას თავში პეპლები გასჩენია. ოპერატორებათ ექიმებს მოუწვევიათ გამოჩენილი ხირურგი ,,ნალარა‘‘. მოქიდავე ანდრი და პესიმისტი იაშა მეტად დაღონებულნი არიან ამ გარემოებით.

**იქიდანვე.** ნიკობურგელ ,,ანათემას‘‘ საჯაროთ გარჩევა უკვე დაიწყო. აგენტ იზბაშს, ,,ნალარას‘‘ რეჩის დროს გული შეუწუხდა.

**იქიდანვე** შესდგა ლიგა ,,შეურაცხყოფილთა‘‘. თავმჯდომარეთ არჩეულ იქმნა სენსაციური

,,ანათემა''. კრება მეტად გაამხნევა მისმა მქუხარე სიტყვებმა (ბოროტი ენები ხმობენ, თითქო ბ ნი ,,ანათემა'' ლამაზ და მყვირალა ფრაზებს იპარავს სხვა და სხვა წიგნებიდან და მერმე ერთმანეთს აწებებსო). ლიგის დანიშნულებაა დაიცოს ყოველი ,,პატიოსანი ადამიანი', კორრესპოდენტთა თავდასხმებიდან. ჯილდოთ ;,ანათემას'' დღეში (,,შეურაცხყოფილნი''.) მისცენ 12000 ბლინს და 1800 ბოთლს მალაგა ხერესს.

**ჭალადიდი**. ჭალადიდის სადგურის უფროსი იდკო (იდი არ გეგონოთ) ხშირათ მუშტებს ივარჯიშებს მგზავრებზე, რომლებიც, მატარებლის მოლოდინში სიბნელეში ჯდომას არ ისურვებენ. რამდენიმე უსაქმო მგზავრი მოვა, თუ მათთვის :,საერთო დარბაზი'' გავანათეთ, ხომ დაილუპა ხაზინარკინის გზა ხომ გაგვიკოტრდებაო. კარგი იქნება იდკოს მაგალითს სხვა უფროსებიც მიბაძავდენ მთავრობის თვალში ისინი დიდ თანაგრძნობას მოიხვეჭენ.



**მესტვირული**

ორშაბათს გამთენიიდან
შაბათის დაჰკრეს ზარია,
არ გამიყრია ხელიდან
ნაჯახი, თოხი, ბარია,
დანაოჭებულს შუბლზედა
ჩამომდის ოფლის ღვარია,
მოწყვეტილ ვიყავ ქვეყანას,
როგორც საფლავში მკვდარია.
ცუდია უმუშევრობა,
არც მუდამ შრომა ღირსაო,
კაცს ლუკმის გარეც სჭირია
ვარჯიში გონებისაო,
ვისაც რა უნდა მიაჩნდეს
მომკვლელათ დარდებისაო,
მე-კი ვენა( ვა, ქამანჩას,
და ამ მოჭედილ სტვირსაო,
ბევრს ასიამებს მაგის ხმა,
ბევრიც ითეგვენ ყურსაო,
აქეთ იქითვან მიღერენ
მუშტებსა თავხედურსაო,
რა ჭირს მომჭამენ მუქარით
ვერ შემინძრევენ ყურსაო.
ღმერთმა დასწყევლოს ლაქუცი
ორ-პირი მეგობრისაო,
ამხანაგებიც ცოტა სჩანს
ნაცადი შავის დღისაო...
იმათაც წუწუნ-გოდებით
ცრემლები ჩამოსდისაო,
მარა რას არგებს მომავალს
ტირილი წარსულისაო.
კვლავ საქმე არის საჭირო—
ბეჯითი მუშაკისაო.
ხალხში იზრდება, მწიფდება
სურვილი შეგნებისაო,
სკოლა და სამკითხველოსთვის
პერანგსაც გაიხდისაო,
ოღონდ მიეცით ნამდვილი
მაჩვენებელი გზისაო.
დიდია გამოცდილება
წარსული შავი დღისაო,
განვითარება სჭირია
დამარცხებასა მტრისაო,
ჩვენც გვეყოს გლოვა-ტირილი
თუ რამ დავკარგეთ მისაო,
საქმეა, საქმე საჭირო,
ვისიც გონება სჭრისაო,
მისთვის ავილე მეც სტვირი
და გუდა-ტყავი თხისაო
ყურ-ში ჩავსძახო მეგობრებს
სავალდებულო დღისაო.

**შხანკოლა**

---

## ფოთის ,,გმირი'',

(წუძღვნი ლევან ,,თავ-შავაძეს'' *)

უხვია ფოთის ქალაქი, ამაყობს ბედნიერებით,
სამშობლოს ამყვავებელთა სხვა და სხვა მეცნიერებით.
ერთი გვყავს ;,სახელოვანი'' მგოსანი სახიერებით,
ბურჯია ,,პოეზიისა'', შემკობი მშვენიერებით.
აგრეთვე პოლიტიკოსობს (დრო გამოშვებით, შერევით);
,,ფილოსოფიურ'' თემებზე მსჯელობს სხვა და სხვა ენებით,

---

*) მეგრულათ დუდი,—თავია,—უჩაკი—შავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ მოგახსენეთ სახელი, ვიცი რომ მოეფერებით.
,,ანათემაა'' ფოთელი თავი სამსე აქვს მწყერებით
და განირჩევა სხვათაგან სტომაქის განიერებით.
აი ამ ,,მგოსან'' ლევანსა, მას უქეს კალმის წვერია,
,,ახალ სიმების'' ავტორი ,,ცხადათ' სჩანს ,,ნიჭი-
ერია'',
მებრძოლთა შესამკობელათ მას ,,ჩანგიც'' აუჟღერია,
მაგრამ არ ახსოვს უბადრუკს რაც გუშინ დაუწერია.
დღეს წინააღმდეგს ლალადებს (ალბათ ლოღიკის მტე-
რია)
ვითომდა ხალხის ქომაგსა დღეს მუშტი მოუღერია
სხვასაც კი მოგახსენებენ ერთი—ორი და ბევრია ..
(დუბროვინ-პურიშკევიჩთან, საქმე რომ დაუჭერია),
ჯერაც მის ნაწარმოებებს აქვსო იმისი ფერია,
მაგრამ ამ დრომდე ეგ საქმე არავის გაუმხელია —
დღესკი გამოჩნდა გრძელ კუდა მის შავრაზმული ხელია:
მტერს ლოკავს, ფეხ ქვეშ ეგება, ლაქუცობს რო
გორც მელია.
თუმც არ ფასდება იოტად კალმის გამყიდველია.
უწინ ,,აგენტსა'' ტუქსავდა, ამბობდა: შავრაზმელია,
მაგრამ ხომ იცით ,,ტყავისა შიში'' რა დიდათ ძნე-
ლია..
ისევ არჩია მუშებსა გააწნას სილა მწველია,
ქურდათ უზნეოთ მონათლა (თვით რა სიკეთის მქნე-
ლია?
ნეტა თუ იცის ვინ არის შამპანიურის მსმელია?
რაზედაც მოსამსახურებს *) აგლიჯეს თმა და წვერია,
მერმე მთლად მოსპეს ,,აფთეკა'' დღეს ოფლით სას-
ყიდელია??
ეს თუ ქურდობა არ არის, სხვა აბა რა ოხერია?)
ლევანი ბევრი ამგვარის მოხელე, შემთხუზველია..
მაგრამ, ცხადია, საწერი მასალა შემოელია.
და აირჩია აბრუნდი, მუშებს ჩასჭიდა ხელია,
რომ გადმოუგდოს იზბაშმა პურის ნამცეცი სველია;
(ალბათ უბოძებს ,,ნა ჩაის'' ცხადი და უეჭველია!)
იზბაში მადლიერი გყავს სხვებიც არ არის მტერია,
ასე რომ მომავლისათვის, ლომი და დათვის ბელია
ფიცს დაუდებენ ერთმანეთს ძმურათ ჩაჰკიდონ ხელია,
და მუშის ზურგზე გააბან ,,ოდელი დელა, დელია''.
გიცანით ძიავ, ვინცა ხარ მოსტყუვდი ჩემო ლევანა,
ზნეობით კოტრთა სიაში, გინდოდა თავის შეტანა,
მაშ აი, მოსალოცავათ ,,მათრახს'' ვაგზავნით შენ-
თანა
,,ჭეშმარიტელსა'' სხეულსა მაგრათ დაიკარ ყველგანა,
მით გავახარე ეშმაკი, აცინე მთელი ქვეყანა.

**ნალარა.**

---

*) ,,თავშავაძის'' ამხანაგებს, კანტორის მოსამსახურებს.

---

მ ე ს ტ ვ ი რ უ ლ ი.

(რკ. გზ. მთავარ სახელოსნოსათვის)

დავიწყოთ ჩემო ქამანჩავ,
ნუ დავიდუმეთ პირია,
შრომისთვის ნაყოფს მივიღებთ,
მაგას რა ფიცი სჭირია ..
გულს ნუ გაგვიტეხს სიმცირე
(იმედს არ ჰკარგავს გმირია)
ერთი ათასათ იქცევა,
ავახმატკბილოთ სტვირია.
გადაგვიგვარდა არჩილა?!
მსხვერპლი დროს შენაწერია,
(,,ერთი წავა და სხვა მოვა'',
მაგალითები ხშირია!)
თითქო მოხუცდა ჭაბუკი,
თვალი აქვს ანატირია.
ცრემლში იხრჩვება კვლავინდურ
არ უჭრის ენა, პირია.
ტყვეთ ეჩვენება თეატრი,
და სამკითხველო ჭირათა
საზღაპრო ნაცარ-ქექია
კი ისტორიულ გმირათა.
შეუძლებელზე ოცნებობს,
და მოსწონს დასაგმობელი...
ხიდი ჩაუტყდა, საბრალოს,
გვჭირდება შესანდობელი,
ხამს „სულთა თანა“ ვუმღეროთ
დამამშვენ შესამკობელი...
ახლა უყუროთ ქამანჩავ
ისვენებს ყველა მშრომელი..
ნუ შევიქნებით, ვერიდოთ
ტარტაროზისა მგმობელი.
და როს მივიღოთ სანაცვლო
ქება და საადლობელი,
მაშინ ვუწიროთ, რადგანაც
ბევრი გვაქვს საგალობელი..

**ალ. ზაგლობა**

---

**დ ე პ ე შ ე ბ ი.**

(,,მეთოხის'' სააგენტო)

**ლანჩხუთი.** მღვდლები ძლიერ დააფიქრა მაჰმადიან მამასახლის-სტრაჟნიკთა წასვლამ. შიშობენ ზიარებისთვის ხალხს ეკლესიაში ველარავინ შემორეკსო.

**იქიდანვე.** ტყუილია ის ხმები, თითქო ახალი საავტომყოფოს ექიმი ხალხს უგულოთ სინჯავდეს; პირიქით,—უფულოთ სინჯავს.

**იქიდანვე.** ქალბატონი სამკითხველო უნუგეშო მდგომარეობაშია.

(,,პროლეტ. ეშმაკის'' სააგენტო)

**ხონი.** ვაჭრებმა სთხოვეს ი. შარაშიძეს, იშუამდგომლოს სადაც ჯერს-არს ერთი საკარტ-ნარდე ინსტიტუტის გახსნის შესახებ.

**ნაოლალევი.** გაიხსნა ქეშტის მომბმელთა საზ. სკოლა. პირველი ქეშტი ქსენონის მურას მოაბეს.

**ხონი.** მოსწავლე ქალები გაფაციცებით ეძებენ კორესპოდენტს, რომელმაც მათი ლექციის ამბავი გამოააშკარავა.

**ლანირი.** გარდაიცვალა სამკითხველო.

**ხონი.** ამ წინაზე აქ ერთი მსწრაფლ-მავალი კაცი ჩამოვიდა (საათში 15 ვერსი). ხონელებმა გა-

დასაწყვიტეს, იმით იმოგზაურონ ქუთაის-სამტრედიამდე.

**კუხი.** საამხანაგო ფარდულმა 200000 მ. მოიგო.

**ნაოლალევი.** ავათ გახდა სამკითხველო.

**ხონი.** ჩვენი სულიერი მამები ,,ავტოკეფალიის'' მაგივრათ, ,,სტრაჟნოკეფალიას'' მოითხოვენ.

(,,ლიკლიკაძის'' საა ენტო)

**ოზურგეთი.** ყველიერი მშვიდობით ჩაყველიერდა. მუდამ ,,მასკიანებმა'' ,,მასკარადნი ვეჩერ..'' გამართეს. პრიზი აიღო პოსრედნიკმა გეგიძემ, რომელიც ზანგის მასკით იყო. ვეჩერს ვახშამი მოყვა ვალენტინის ლოტბაროზით. ვასიკოს პრტყელი ხანჯლის დანახვამ ვახშმის პოდრაჩიკს ვარდენს ზარალი მიაყენა.

**ასკანა.** ყველიერში ერბო მეტის მეტი იაფი იყო, რის ჭამის შემდეგ ბევრმა ენა ვერ დაამაგრა —საშიშრათ მძვინვარებს ნამუსის ტიფი—მიიღო გადამდები სენის ხასიათი—ეპიდემიის მოსასპობათ დაიბარეს ერთი ასეული მწყემსი ჯვარიდან (ზუგდიდის მაზრაშია).

**ხიდისთავ-ჯვარცმა.** ქირვიზაცია აღდგენილ იქმნა. დაიჭირეს სხვათა შორის ორი გრძელ-თმიანი მასწავლებელი და სტუდენტი—მარქსის გიგავს თმებით. თითონ მარქსი ჯერაც ვერ იპოვეს.

**ჩოხატაური.** მოველით ას ყაზახს და ორმოც სტრაჟნიკს. სახლები დასცალეს, დასცალეს აგრეთვე ყავახანა, რამაც საერთო გლოვა გამოიწვია. გადაწყვეტილია ყავახანის სახსოვრათ ოცი დღის გლოვა. ადგილობრივი ,,პატონთ-პ·ტო!ი'' ხსნის სადალაქოს. გძელი თმის გაკრეჭა და კბილების დაძრობა სოფლის მასწავლებელ-მოსწავლეთათვის უფასო იქნება.

**ამაღლება.** მამასახლისი წეროძე ჯერ-ჯერობით ძალიან მამა.. (დამახინჯებულია...)

**ბუკნარი** (გურიის ბანძა) დიდი მარხვის დადგომის გამო შინაური ფრინველ-პირუტყვთა ქურდობა ერთი კვირით შეჩერებულ იქნება.

**ხვარბეთი** გადახდილ იქმნა ეგზეკუციის ექვსი თვის იუბილეი—ბევრმა მიიღო ჯილდო... (შემდეგი—შემდეგ, მავთულის გაწყვეტის გამო გადაიდო).

---

## შ ა რ ა დ ა.

გრძლა-გრძლათა სწერენ შარადას;
სუყველას ასე სჩვევია,
კოლო ხომ ერთი ბეწოა,
ისიც კი გადაგვრევია:
ბზუილით იკლებს მიდამოს
ვითომდა... მე ვარ ბიჭიო:
შარადის სხარტად გამოთქმის
მარტო მე შემწევს ნიჭიო!
- კეთილი! თუნდ ასეც იყვეს.
ნება აქვს, სულ იბზუილოს...
კვეხნით აუწყოს ქვეყანას,
რაც იმან მოგვატყუილოს!..
ბოდიშ მოვითხოვ კოლოსთან
ამ მკვახე სიტყვებისათვის
და შემდეგ ერთ ლექსს შენ დავწერ,
თუ ვარგა, შარადისათვის.
ხშირად ,,გზის'' ნაცვლათ სიტყვასა,
ხან ,,გზასთან'' ერთად, ხმარობენ:
საგნის სივრცელეს აღნიშნავს
ერთ სიტყვით აღარ კმარობენ.
ამ სიტყვას დართეთ-მეორე,
მთელივე, განამზადები:
თქვენივ მშობელის შვილია,
ასულად დანაბადები.
თუ არ გყავთ, იგულისხმევით,
სიტყვა კი მაინც აიღეთ'..
და... ბევრს არ ვაჭიანურებ,
მგონი, შარადაც გაიგეთ!*)

**ონისიმე.**

---

## დეპეშები კახეთიდან.

**აწყური.** თეთრი გიორგის მონები გაიფიცენ. მოითხოვენ ბერებისაგან ზრდილობიან მოპყრობას.

**შაქრიანი.** მამასახლისის ბრძანებით ჭაობი ადგილები მკვდარი ძაღლებით ამოავსეს.

(გარეთ კახეთი)

**პატარძეული.** დაჟინებით ამბობენ: შეიძლება ჩვენი საყვარელი ბოქაული გადააყენონო. მიზეზათ იმას ასახელებენ, რომ ნიშანში სროლა არა სცოდნია და ღვინიან სტაქნის მაგივრათ თითში მოარტყა დარაჯსაო.

**იქიდანვე.** სამაგიეროთ ნიშანში კარგათ იღებს ჩვენი დარდი მანდი მამასახლისი, თუმცა ამ ბოლო დროს ერთი „იმის" მეოხებით იმასაც გაუტყდა სახელი.

**უჯარმა და სართიჭალა.** ჩვენი სოფლის ინტელიგენციამ თავს იდვა საშეილიშვილო საქმე: სრულიად მოსპონ მაგარი ანუ მათრობელა სასმელები. ამის გამო უმოწყალოთ ხუხავენ, როგორც არაყსა და ღვინოს, აგრეთვე ძმარსაც

---

*) ვინ არ გაიგებს შარადას
ამგვარათ დაწერილსა?
(ეს ონისიმე ვიღაა
კოლოსთან სულს რო ბერავსა?.)
მოკლე გამოვა აბა რა
თუ ორი სიტყვით კერავსა,
და განმარტებას ბოლოზე
ჩემებრ არ მიაწერავსა?.
ცოტა სიძნელე სჭირა
ამ დარგის გამოცანასა,
ამას კი ყველა მიხვდება
ვინც არჩევს ანა-ბანასა,
ეს, შარადაზე უფროდე
წააგავს ხმა-ტკბილ ,,ნანასა''
და გაიტაცებს მკითხველებს
იმავ გზით, იმ ქვეყანასა.
(ცხადია ონისიმეი
დაიწყებს თავის ფხანასა,
როცა მიიღებს კოლოსგან
ამ მოკლე ,,სულთა თანასა''
და შემდეგისთვის ამ რიგათ
აღარ მოუმკის ყანასა.)

კოლო.

**დეპეშები.** (შემთხვებითი)

**ახალ სენაკი.** 28 თებერვლის სხდომაზე საზოგადოება «მეურნე»-მ ასეთი რეზოლიუცია მიიღო-,,ზარალის დასაფარავათ ეხლავ გაიყიდოს შარშანდელი გამხმარი ვაზები‘‘ დიდ თანხას მოელიან.

**ბაქო.** ინჟენერი დადიანი ადგილობრივ ქართველ უმუშევრებს კეთილ საიმედობის მოწმობებს აძლევს ამგვარი შენიშვნით Ручаться не могу“.

**იქიდანვე.** სადგურის წვრილმა მოსამსახურებმა მხარი დაუჭირეს ბაქოელ ქართველ პატრიოტებს და ქართული გაზეთის კითხვა სამარცხვინოთ საქმეთ გამოაცხადეს.

**ლიხოური.** (გურია) 27 თებერვალს 100 კაცისაგან შემდგარი რაზმი, ყარამან სურგულაძისა და დიომიდე სხალაძის წინამძღოლობით გაემგზავრა ,,ჩოლოქის ახალშენის‘‘ ასაღებათ. ხალხი ,,პატრიოტულ‘‘ გრძნობათ აღტყინებასა განიცდის.

**სოფ. ახური.** ერმალო შარაძე დიდს მზადებაშია. ეგზეკუციას მოელის.

**ჭიათურა.** ადგილობრივ საავათმყოფოს ეკონომს შეუვსია ავათმყოფთა ტანსაცმელების სია. აკლია მხოლოდ ერთი, მარცხენა ფეხის წინდა.

ვიღაც ხუმარამ ისაკ ბაინდუროვს თეატრში ქუდი შეუგდო, მაგრამ იქ შესვლას ბაინდუროვმა 20 მანეთიანი ქუდის დაკარგვა ამჯობინა.

**ყვირილა.** ადგილობრივმა ქალთა პროგიმნაზიამ ფუტკარსავით იყარა ერთი მართვი (ძველი დედა და 20 ფუტკარი) უწინდელ სკაში დარჩა, ხოლო მეორე მართვი ახალი დედითურთ გაფრინდა.*)

**იქიდანვე** მასწავლებლებს თავი მოაწყინა გაზეთებისა და წიგნების კითხვამ. შეუდგენ მასკარადების მართვას.

**ქუთაისი.** ერთმა გიმნაზისტმა ასე შეჰფიცა საყვარელი ერთ გიმნაზისტკას: ,,ვფიცავ გაზეთი ,,ფონის‘‘ ენასა და კორექტურას, რომ გაგიჟებით მიყვარხარო.**)

---

# ბაბუას ნაამბობი.

გული მიკვდება, ბაბილავ,
რომ გხედავ ასეთ მხდალსაო,
ჩამოღვრემილხარ ვაჟ-კაცი
სულ ძირ ძირ იხრი თავსაო,
რავუყოთ მერე, ძმიავ,
ჭირი რომ გიდგას კარსაო,
ამ დროს სჭირია ვაჟ-კაცმა
შემოუძახოს თავსაო!
გამაგრდი ჭირში, ვითა კლდე,
ნუ ღვრი ცრემლების ღვარსაო,
ტირილი საქმეს ვერ შველისო,
ტყვილათ შეირცხვენ თავსაო..
მოდი აქ ჩემთან უშიშრათ
ამომიდექი მხარსაო!
ნიჩაბი მე მაქვს, ბარი შენ,
გავიყვანთ სწორე გზასაო.
არ შეუშინდე შრომასა,
გაუძლოთ წვალებასაო.
მარა ჯერ ყური დამიგდე
შენს ერთგულ მეგობარსაო;
ძველ ამბავს გეტყვი, კარგ ამბავს,
ბაბუას ნაუბარსაო!.
-ვიღაცა ერთი, ძველ დროში,
ველარ ვიხსენებ გვარსაო,
აზნაურთაგანს ამბობენ,
ეძახდენ ელიზბარსაო,
(თურმე აქ ჩვენში ცხოვრობდა—
გურიის დასამხარსაო)...
კაცი ბოროტი სულითა,
მუდამ ცდილობდა ავსაო ..
სხვებისა გაჯავრებული,
ყმებზე იყრიდა ჯავრსაო!
მისას ყოველ დღე ნახავდენ
საშიშარ სანახავსაო,
ზოგს ფეხში დანით სერავდა,
ზოგს დაუჩეხდა მკლავსაო
და რომ ძალიან ასწოდა,
ასხამდა მარილ მძარსაო ..
ან-კი ვინ იყო პატრონი,
ვინ გაიღებდა ხმასაო,
ვინ დაიხსნიდა მხეცისგან,
დაჩაგრულ-დასჯილ ხალხსაო!..
მარა ბოლო აქვს ყველაფერს,
ყველაფერს დასასრულიო,
,,არა რა არის მუდმივი‘‘
ნათქვამი არის ბრძნულიო.
ჩვენს ელიზბარსაც სიკვდილის
კარზე მიადგა ვადაო,
მას თურმე ერთი ყმის შვილი
მოსამსახურედ ჰყავდაო...
ბატონის ერთგულობაში,
სხვა იმას არა ჰგავდაო,
იგი ელიზბარს ძილის დროს
თავზე მარაოთ ადგაო:
ხან ბუზებს მოუგერებდა,
ხან ფეხებს გამოფხანდაო.
(სახელს დათიკას ეძახდა,
სხვის უფროც ეს უყვარდაო )
მარა ერთ დილას ბატონი,
როცა ძილიდან ადგაო,
ცოლისა ნაწყენები
ცოფიან დათვსა ჰგავდაო,

---

*) ადამიანთა გონიერება გაცილებით მაღლა სდგას მწერებისაზე. ასეთ ნაადრევ მართვობას ფუტკრებში ადგილი არასოდეს ჰრა აქვს და თუ ეს შენიშვნა ვისმე საეჭვოთ, ეჩვენოს, ჰკითხოს სპ. მახარაძეს. ეშმაკი.

**) აბა ვინ გამოიცნობს: მართლა გიჟი ყოფილა გიმნაზისტი, თუ მართლა ყვარებია გიმნაზისტკა? ეშმაკი.

ერთგულ დათიკას უბრძანა:
ხუცესთან წადი მალეო,
მღვდელს ალსარება მიეცი
კიდევაც ეზიარეო.
დამჭირდა შენი სიკვდილი,
აღარ იქნები ხვალეო,
სხვას თუ ვერა რა უყავი,
შენს სისხლს ხომ მაინც დავლეო!..
დათიკამ უთხრა: „ბრძანების
მუდამ ვიყავი მზათაო,
ვარს ამაზედაც არ ვიტყვი,
მარა მკლავ ნეტავ რათაო?
რა დაგიშავე ბატონო,
ალალ-მართალმა ცათაო,
ან თქვენ რათ არ გაქვს სიცოდე,
ან სამართალი სადაო?".
გაცხარდა უფრო ბატონი:
ამაგბს რასა ვხედაო!
ჩემ ბრძანებაზე, ტუტუცო,
ურჩობას როგორ ბედაო?!
ხომ იცი აღარ გადავთქვამ,
რასაც, რომ გადავწყვეტაო?
გასწი, წაეთერ წუნკალო
და მეტი აღარ მედაო!"
რაღას იზამდა დათიკა,
წავიდა ხუცესთანაო.
მივიდა, იმას უამბო
ყველა ეს გამოცანაო.
მღვდელმა სთქვა:—მოსაწონია
ასეთი ბატონ-ყმობაო,
კარგი ყმა, მისსა ბატონსა
სიცოცხლით გადაჰყობაო.
დათიკავ, ღმერთმა გაცხონოს,
მიიღე ზიარებაო,
მიეგებევი სიკვდილსა,
ასრულდეს უფლის ნებაო!—
ნაზიარები დათიკა,
უკან დაბრუნდა ჩქარაო,
თვალიც არავის მოუკრავს,
ბატონთან შეიპარაო.
ნახა, ეძინა ელიზბარს
შუბლზე ოფლს დაეყარაო,
ხმალიც (ნაცადი ყმებზედა,)
გვერდთ ედვა, მოეფარაო.
ხმალს რომ შეხედა დათიკამ,
ფიქრებმა გაუარაო:
ადგება, იმით მე მომკლავს...
ცრემლები გადმოღვარაო.
ცოტა შეჩერდა, იფიქრა:
ასე არ ვიზამ, არაო,
რა-კი უმართლოთ მან დამთმო
მტანჯა და გამამწარაო,
ვინამ მან მომკლას, სჯობს მოვჰკლა
ბრიყვი და მეტიჩარაო!..
ესა სთქვა, მიუახლოვდა
და წელში მოიხარაო,
ხელი წაავლო ხმალს ტარში,
შესძახა: „ძილი კმარაო!"
ზე წამოვარდნილ ბატონსა,
სიტყვის თქმა არ აცალაო,
მსწრაფლ დაჰკრა ხმალი კისერზე,
თავი ტანს წააცალაო...
და თან დასძახა მოკლულსა:
—შენ უნდა მოგეკალიო?
მერე რისათვის, მტარვალო,
რა მქონდა შენთან ბრალიო?
ნუ თუ იმისთვის, რომ შენი
ვიხადე მძიმე ვალიო?
ღმერთადა გვთლიდი, მუდამ ჟამს
შენსკენ მეჭირა თვალიო,
ფუ, შენისთანა ბატონსა,
არა ხარ შესაბრალიო!..
ამ-იწმინდა ცრემლები,
წელზე მოირტყა ხმალიო
და ამის შემდეგ იმისი,
არვის უნახავს კვალიო!"...
ხომ, გაიგონე, გაბილავ,
ბაბუას ნაუბარიო?
რა დრო ყოფილა ძველი დრო,
რა ბილწი, საზიზღარიო?
თუმცა ამ დროშიც ბევრია
სატირალ-საჩხივარიო,
მარა ძველ დროზე ახალი
არ არის მისადარიო!
ცოტა თუ კიდევ გავსძელით,
ჩაივლის ნიაღვარიო,
ვიცი რომ დაიღალება,
სულ ვერ იქროლებს ქარიო.
მზე გაუნათებს ქვეყანას,
გამოვა კარგი დარიო,
აყვავილდება ბუნება,
იხარებს მთა და ბარიო.

**ირაკლი.**

---


## იყიდება „შრომის" სტამბაში

და აგრეთვე გაეგზავნებათ მსურველთ:
1909 წლის „ალმანახები" 7 ნომერი
და „მათრახი და სალამური" 29 ნომერი
ერთად შეკრული . . . . 2—50 კ.

# გაცილება




ოზურგეთის დღეობაა:
ინსპექტორი აბარგულა,
მელიტონი ცრემლებსა ღვრის,
ფილიმონი გაძაგრულა.

ყმაწვილები ხტუნაობენ...
უხარია გულით ყველას,
შორდებიან.. დროთი მაინც...
ათას შიშს და ხათაბალას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჟურნალ-გაზეთობა.

რამდენი მელანი, კალამი, ქაღალდი, ცრემლი, სიტყვა და ვინ იცის, რა არ დაიხარჯა, რასაკვირველია, საქმეს გარდა, და არ იქნა—არ ეღირსა იმის გამორკვევას, თუ რა უშველიდა ქართულ თეატრს, რა წამალი დაიხსნიდა მას სიკვდილისაგან. როგორც ახლა ირკვევა, ეს არც ისე ძნელი საქმე ყოფილა. გამოჩნდა „დროებაში" ვინმე „ანი" და თეატრის მოსარჩენათ შემდეგ რეცეპტს იძლევა:

„საქმე ჩაჰბარდეს ერთს ან ორს და არამც და არამც მეტს; ქართული თეატრი თავად-აზნაურობამ უეჭველად დრამატიულ საზოგადოებას გადასცეს არა ნაკლებ ექვსი-შვიდი წლით, სრულიად უსასყიდლოთ, განათებით. ქართულ თეატრს (შენობას) ასცილდეს შემდეგ უმთავრესი დეფექტები: ქუჩიდან შემოსავალი გაფართოვდეს და შესავალში მოისპოს მეწვრილმანის დუქანი, სად ც ყოველთვის ბიჭ-ბუჭებით არის სავსე. თეატრის წინ შუშაბანდი გაკეთდეს, რომ ვესტიბიულში სიცივე არ შედიოდეს. სცენაზე ბალის ჩხრივ მეორე კარები გაკეთდეს. სცენის ქვეშ—დეკორაციებისა და ავეჯის საწყობი. აცილებულ იქნას ქარი თეატრში, ლოჟები გაუმჯობესდეს. შესავალი, ქუჩა თეატრის წინ და ეზო თეატრისა წარმოდგენების დროს მაინც უხვად იქნას განათებული... მომზადდეს რეპერტუარი კარგის თარგმანებით, რაკი ორიგინალურები არ იწერება. ძველი რეპერტუარი კარგათ გაიცხრილოს"...

რეპერტუარის შედგენის დროს წერილის დამწერის აზრით შემდეგი მოსაზრებებით უნდა იხელმძღვანელონ:

..."ჰამლეტი" ჩვენს ცხოვრებას არ შეეფერება, ხოლო თუ ჰამლეტი ოთარად შესცვალეთ, ჰორაციო ანდურყაფად ოფელია სოფიოთ და მოქმედება ზუგდიდში გადაიტანეთ, პიესა თავის შინაარსით თურმე ჩვენს ცხოვრებას შეეფერება. ასევე უნდა მოექცენ მეტერლინკს, იბსენს, ზუდერმანს, ჰაუპტმანს, ანდრეევს და სხვათ, რომ ჩვენმა საზოგადოებამ არ გაჰკიცხოს დრამატ. საზოგადოება „ჩვენი ცხოვრების შეუფერებელ პიესების წარმოდგენისათვის"...

...სრულიად უსასყიდლოთ, განათებით,... შემოსავალი გაფართოვდეს... მოისპოს მეწვრილმანის დუქანი... ბიჭ-ბუჭებით სავსე. . სიცივე არ შედიოდეს... აცილებულ იქნას ქარი თეატრში*) .. ქუჩა უხვად იქნას განათებული...

აბა, რავდენი დაჯდება ყველა ეს ნაღდ ფულზე რომ ვიანგარიშოთ, ვინაიდან თეატრი, ეს კერძო საკუთრება, ჩვენმა ავტორმა უკვე ჩამოართვა თავად აზნაურობას სრულიად უსასყიდლოთ, არც ისე ძვირათ, მარა მისი თქმით —„თეატრი ისეთი საქმეა, რომ რამდენიც მეტი იქნება ფული, იმდენათ უკეთ მოეწყობა აქ მხოლოდ მინიმუმის აღნიშვნა შეიძლება: ახალგაზრდათა მომზადებას 10-ს ოთხი წლის განმავლობაში, თითოს 600 მ. წელიწადში, სულ ყოველ წლივ 6000 მან., სამი ან ოთხი წლის განმავლობაში 18,000—24,000 მ.; სცენის გასაუმჯობესებლათ: ავეჯს—2500 მ., გარდერობს—4000 მ., ბუტაფორს—1800 მ. სცენის სხვა მოწყობილობას—1000 მ. სულ—9300 მ., რეპერტუარის მომზადებას—2500 მ. სუბსიდია დასის შესანახათ, რაკი თეატრს ზამთარ-ზაფხულს უსასყიდლოთ გადაეცემა, საკმარისია წელიწადში—5000 მ."..

მკითხველი, ალბათ, ფიქრობს, რას ერჩოდა ეს კაცი, რომ თავად აზნაურობას თეატრი ასე უცერემონიოთ წაართვაო, მარა ბოლოს მოგონებია ამ კურთხეულს ქართული ანდაზა—„თხის პატრონს აღარც თხის კუდიო ?!. და ამბობს:

„ხოლო თუ წლის დამლევს თეატრის შემოსავალს (იჯარით გაცემით) გადარჩება მოგება, ეს უნდა მიეცეს თავად-აზნაურობას, როგორც შენობის პატრონს"...

ყველაფერი მზათაა, მხოლოდ

..."ეს საქმე დრამატიულმა საზოგადოებამ უნდა მიანდოს უეჭველად ერთს ან ორს. ესენი საქმის მართვაში სრულიად დამოუკიდებელნი უნდა იყვნენ. იმის საქმეებში არ უნდა ერეოდეს (გარდა ფინანსიური კონტროლისა) არც ერი, არც ბერი, არც აზნაური და არც თავადი"...

ისეთი ჭირისუფალიც, როგორიც ჩვენი ავტორია, რომ არ გაერეოდეს ასეთ საქმეებში გაცილებით უკეთესი იქნება, რა თქმა უნდა!..

---

*) თეატრში კიდევ შეიძლება ეშველოს ქარს რამე მაგრამ აღნიშნული ავტორის თავი კი ამ მხრივ უეუგეშო მდგომარეობაშია.

ეშმაკი.

---

## მ ე დ გ რ ა თ

თუმც უკუმეთურ შავ-ბნელსა წყვდიადს
შემოუბურავს ირგვლივ მთა ბარი
შესაზარელი ავისა ენით
თავს დაჰღრიალებს მძვინვარე ქარი.
თუმც ოცნების მთას, იმედის წალკოტს,
ბილწი სატანა დაჰპატრონია
და იმის წარმტაც ჰარმონიისთვის
კივილ-ხითხითი შეუწონია,
თუმც სიმართლისა მქადაგებელის
დადუმებულა მგოსანის ქნარი
და სასოება შეგინებული
თავს დაჰკვითინებს ცრემლათ დამდნარი,
მაინც არ გვმართებს უიმედობა,
ვაი ვაგლახი, მოთქმა გოდება
სწორეთ აქ უნდა მძლავრთ უკმეხობას
პირის პირ დგომა და შებრძოლება.
ამაყათ, მედგრათ, ხელი ხელს მივცეთ
ნიშანი საძმო და საერთგულო,
სიმართლისათვის მრავლათ შევკრიბოთ
ტურფა ყვავილნი სათაიგულო.
გავსწიოთ იქით, სადაც ცისკარი
კრთოლვა ციმციმით აღმართავს ალამს
და სხივთ ციალით პირ მშვენიერი
გვეამბორება, გვიძღვნის ტკბილ სალამს.

დ. თურდოსპირელი.

## დეპეშები.

(,,მანსელიძის‘‘ სააგენტო)

**დარკვეთი**. ტყუილია ის ხმები, ვითომც ფრანგების სარეცხი ქარხნის (საძარცვავი არ გეგონოთ) გამგე არაფერს ჭამდეს და მისთვის მადის ,კაპლი‘‘ გამოეწეროსთ. პირიქით ის ერთობ კარგ მადაზეა, რისთვისაც მოუკლო მუშებს 10—15 კაპ. დღიური ჯამაგირიდან ..

**ჭიათურა.** არ გამართლდა ხმები, ვითომც ვასილ გველესიანის დუქანში მის შეგირდს კუდიანი ვარსკვლავი დაჯახებოდეს. როგორც გამოირკვა, შეგირდს ბ. ვასილ გველესიანის მუშტი დაჯახებია და ცალი ლოყა დაუჩიანებია..

ამ დღეებში კიდევ განმეორდა, იმავ დუქანში დაჯახება, რის შესახებაც ეჭვი კიდევ კუდიან ვარსკვლავზე მიიტანეს, მაგრამ, როგორც შემდეგ გამოირკვა, არც ეს გამოდგა კ. ვარსკვლავი. აქ, ჩვეულებისამებრ მათრახის კუდი დაჯახებია ვ გველესიანის ზურგს და გაუკაწრავს...

**იქიდანვე.** დრ. საზ. გამგეობამ გადასწყვიტა, ვინაიდან წარმოდგენების დროს თეატრში ხშირათ აქვს ადგილი უწესოებას, დამსწრეთაგან,—აწეულ იქმნას თეატრის ბილეთების ფასი 90 ის პროცენტით. რადგან დიდ ფასებში ბილეთები ნაკლებათ გაიყიდება და ხმაურობაც აღარ იქნება.

## მათრახის ფოსტა.

რედაქციას ხშირათ მოსდის საყვედურის წერილები დაუბეჭდავ კორესპოდენციათა შესახებ. ამის გამო ერთხელ კიდევ ვაცხადებთ მომდურავთა საყურადღებოთ: **ყველა იმ წერილის დაბეჭვდა, რომელიც რედაქციას მოსდის შეუძლებელია. აგრეთვე შეუძლებელია ყველასათვის „ფოსტის“ საშვალებით პასუხის გაცემა, ვინაიდან ეს დაიჭერდა გაზეთის 2—3 გვერდს.**

ამიტომ ვინც წერილზე არ აღნიშნავს „ფოსტით მიპასუხეთო“, იმას რედაქცია ვერავითარ პასუხს ვერ გასცემს.

**სამიძაო.** ედუარდის. არ დაიბეჭდება.

**ხონი.** ცხენის წყლისპირელს. თქვენი ლექსი „მე ცოცხალი ვარ იცოდე!..“ ვერ იბეჭდება ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო, ხოლო თუ ვისთვისმე საჭირო იყო იმის გაგება, რომ «თქვენ ცოცხალი ბრძანდებით» ამას ახლაც გაიგებენ.

**სამტრედია.** ბუქს. დიდის სიამოვნებით ავასრულებდით თქვენს თხოვნას, რომ შესაძლებელი ყოფილიყო.

**შორაპანი.** თავბუას. უცილობელი ნიჭი გეტყობათ პოეტობისა და იმედი გვაქვს არც არავინ შეგეცილებათ:

„არ მინახავს ქვეყნაზე
შენისთანა ლამზები...
ტოჭკას გიგავს თვალები
ზაპეტიას წაბრები.“

განმარტება ზედმეტათ მიგვაჩნია.


წელიწადი **1910 წლისათვის** მეორე.

მიიღება ხელის მოწერა

# ყოველ-კვირეულ იუმორისტულ ჟურნალზე




ვინც ამ თავიდან გამოიწერს ჟურნალს და მთელი წლის ფასს შემოიტანს, აგვისტოს პირველ რიცხვებში ჟურნალთან ერთათ

# პრემიათ გაეგზავნება

# ახალი კრებული

ჟურნალი წლიურათ ღირს 5 მ. თვიურათ 50 კ. ცალკე ნომერი 10 კ.

**ფულის გამოსაგზავნი ადრესი:** Тифлисъ, Типографія Т-ва „Шрома“, Василію Карамановичу Болквадзе.

# მოხერხებული ვაჭრობა.




ლითოგრაფია ს. ბიხთვისა.

Съ рис. Миша (Парижъ).

**ექიმი.** იცით რა მოგახსენოთ?.. ოპერაცია ვაცილლებით უფრო რთული გამოდგა, ვიდრე მე მო-ველოდი! თუ გნებავთ განვაგრძო, იმ შემთხვევაში ათი თუმანი კიდევ უნდა მომიმატოთ, თუ არა თქვენი ნებაა, გთხოვთ მიბრძანდეთ!